განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმი, ბაკალავრიატი

**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღი 13.06.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

28.06.19

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **შპს საქართველოს უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ტურიზმი |
| განათლების საფეხური | საბაკალავრო |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ტურიზმის ბაკალავრი<br>1120 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის პირველი ივლისის №140 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნატლია კვაჭანტირაძე, საქართველოს ტურიზმის ასოციაცია, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა მოსემღვდლიშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო პროგრამა შემუშავდა საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლაში და იგი ხორციელდება 2010 წლიდან და აკრედიტებულია სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის პირველი ივლისის № 140 გადაწყვეტილებით. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ,,მოამზადოს კომპეტენტური/კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ექნებათ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, გარემოს დაცვის და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის, როლისა და ფუნქციების შესახებ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და ტურისტული პროდუქტის შექმნის, ტურების/ექსკურსიების დაგეგმვის და განხორციელების, ქართულ და ინგლისურ ენებზე ტურიზმის დარგში არსებული გამოწვევების თუ ძირითადი ტენდეციების შესახებ ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის უნარი“. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რაც გულისხმობს: პროგრამის ძირითადი, სავალდებულო ასარჩევი და არჩევითი სასწავლო კურსების გავლას, აქედან ძირითადი სასწავლო კურსები 180 ECTS; პროგრამის სავალდებულო ასარჩევი ბლოკიდან (18 ECTS) 6 ECTS გავლას, არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან (138 ECTS) 54 ECTS გავლას. პროგრამაში მოცემულია შედეგები, სწავლის მეთოდები, წინაპირობების მატრიცა და დასაქმების სფეროები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 13 ივნისს. ვიზიტამდე, 11 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, რუსუდან სეთურიძე, ნატა კვჭანტირაძე, ანა მოსემღვდლიშვილი) განისაზღვრა აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

13 ივლისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან, დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (სკოლის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული: კერძოდ, პირველი სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. მეორე და მესამე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, ვინაიდან 2.2, 2.6 და 3.1კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს. მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. თუმცა, მესამე სტანდარტის 5.2 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდირებულია პროგრამის ძირითად ბლოკში ისწავლებოდეს კვლევის მეთოდები, რაც სტუდენტს გაუადვილებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას.
  - რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის დებულებაში განისაზღვრის სტუდენტების რაოდენობის ზღვარი, რომელსაც უხელმძღვანელებს აკადემიური პერსონალი საბაკალვრო ნაშრომების მომზადებისას.
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში ქულების გადანაწილების სტრუქტურის დახვეწა.
  - რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში ჩართვისა და კონფერენციების ორგანიზების მიმართულებით;
  - პროგრამის მუდმივი განვითარების პროცესში რეკომენდირებულია დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია გააქტიურდეს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით და მის საფუძველზე მოხდეს შეფასების შედეგების უფრო სიღრმისეული გაანალიზება.
  - სასურველია შეფასების კომპონენტის დაკონკრეტება ქვიზის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მეტ გამჭირვალობას სტუდენტებისათვის.
  - სასურველია პროგრამაში მიეთითოს 2011 წლის 18 თებერვალის #19/ნ ბრძანება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ერთიანი ეროვნული

გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესისა და დამტკიცების შესახებ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| საქართველოს უნივერსიტეტის მისიაა ,,ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, რაშიც ვგულისხმობთ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას, და მის აღჭურვას პატიოსანი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით. ჩვენი საქმიანობით, რასაც მუდმივად ინოვაციური მიდგომით ვახორციელებთ, ისევე, როგორც საკუთარი ინსტიტუციური სრულყოფილების მაგალითით წვლილი შეგვაქვს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ“ მისიიდან გამომდინარე განისაზღვრა პროგრამის მიზნები, კერძოდ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: ,,ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კომპეტენტური/კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ექნებათ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, გარემოს დაცვის და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის, როლისა და ფუნქციების შესახებ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და ტურისტული პროდუქტის შექმნის, ტურების/ექსკურსიების დაგეგმვის და განხორციელების, ქართულ და ინგლისურ ენებზე ტურიზმის დარგში არსებული გამოწვევების თუ ძირითადი ტენდეციების შესახებ ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის უნარი. მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020) სამოქმედო გეგმა (2014 წელს შემუშავებული). მისიის, მიზნებისა და სტრატეგიული გეგმის ანალიზი და ასევე ინტერვიუ ადმინისტრაციასთან გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ მიზნები, მისია და გეგმა ერთმანეთთან თანხვედრაშია და ასახავს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში თავიანთ წვლილს.<br><br>**შრომის ბაზარი**<br><br>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება დაფუძნებულია შრომის ბაზრის კვლევაზე, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიერ იქნა ჩატარებული ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევაა, რომელიც გაანალიზდა პროგრამის მმართველი გუნდის მიერ და კვლევის შედეგები აისახა პროგრამის განვითარების პროცესში. გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამები.<br><br>გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, თუმცა გასაუბრებისას შეინიშნებოდა დამსაქმებლების |

ჩართულობის სისუსტე.

**ინტერნაციონალიზაცია**

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები დაახლოებით 19 საზღვარგარეთის უმაღლეს დაწესებულებასთან. თუმცა მემორანდუმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი მემორანდუმი საჭიროებს განახლებას. გარდა ამისა უნივერსიტეტი ზრუნავს როგორც პროფესორ მასწავლებლებზე (მხარდაჭერას მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში, ერთობლივ პროექტებში), ასევე სტუდენტებს სთავაზობენ სხვადასხვა სახით ჩართვას ინტერნაციონალიზაციის პროცესში. თუმცა, სტუდენტებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ საჭიროებს ამ მხრივ, იგულისხმება სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვის გაძლიერებას. (მოცემული საკითხი დეტალურად განიხილება მომდევნო სტანდარტებში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის მისია და ხედვა: **https://www.ug.edu.ge/ge/mission-vision**
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა: **https://www.ug.edu.ge/public/storage/%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%90/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%92%e1%83%98%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98%20%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%95%e1%83%98%e1%83%97%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1%20%e1%83%92%e1%83%a0%e1%83%ab%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%95%e1%83%90%e1%83%93%e1%83%98%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%98%20(2014-2020%20%e1%83%ac%e1%83%ac)%20%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a5%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%93%e1%83%9d%20%e1%83%92%e1%83%94%e1%83%92%e1%83%9b%e1%83%90.pdf**
- შრომის ბაზრის ანალიზი:
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

| |
|---|
| შეფასება<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ **პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;**<br>➢ **პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;**<br>➢ **შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.** |
| პროგრამის მიზანი მოცემულია 1.1 კომპონენტში. ამ მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა შემდეგი პროგრამის სწავლის შედეგები:<br>**ცოდნა და გაცნობიერება:**<br>• ბიზნესის და ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის ძირითადი პრინციპების, ტურიზმის საფუძვლების, ფინანსური აღრიცხვის და მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლების ცოდნა; ძირითადი სტატისტიკური მეთოდებისა და ინდიკატორების შესახებ საბაზისო ცოდნა.<br>• საქართველოს ისტორიის, რეგიონების, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (კურორტებისა და საკურორტო ადგილების, დაცული ტერიტორიების), ეკო-აგრო ტურიზმის და გარემოს დაცვის და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის, როლისა და ფუნქციების შესახებ ცოდნა.<br>• სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ეტაპების, სასტუმროს კლასიფიკაციის და მენეჯმენტის, კვების და სასმელების ობიექტების მართვის/ადმინისტრირების საკითხების ცოდნა ტურისტული სააგენტოების ფუნქციონირების მექანიზმების შესახებ ცოდნა<br>• საოფისე კომპიუტერული პროგრამების და გეო-ინფორმაციული სისტემის საშუალებით თემატური ტურისტული რუკების, ტურისტული ობიექტების ატრიბუტული (ფოტო და ტექსტური) მონაცემების გის-ში შეტანის, შენახვის, დამუშავების და გამოტანის მეთოდების ცოდნა.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**<br>**კურსდამთავრებულს ექნება:**<br>• ტურისტული პროდუქტის შექმნის/ფორმირების, ტურების/ ექსკურსიების დაგეგმვის, თვითღირებულების გამოთვლის და ფასის განსაზღვრის უნარი;<br>• ტურიზმის სტატისტიკური მონაცემების ბაზიდან ძირითადი ინდიკატორების |

იმპორტის და მათი ანალიზის უნარი, განთავსების საშუალებების/კვების ობიექტების სტატისტიკური ინდიკატორების გამოთვლისა და ინტერპრეტირების უნარი;

- ღონისძიების იდეის/კონცეფციის ინიცირების, დაგეგმვა-შემუშავების, განხორციელების, მართვის, მონიტორინგისა და შეფასებისათვის საჭირო უნარები.

**დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებულს ექნება:

- ტურიზმის პოლიტიკური გადაწყვეტილების და სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობის და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი
- ტურიზმის დარგში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან და ტენდენციებთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემების ანალიზისა და დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

**კომუნიკაციის უნარი**

კურსდამთავრებულს ექნება:

- ტურიზმის დარგში არსებული გამოწვევების თუ ძირითადი ტენდეციების შესახებ ანგარიშის (პრეზენტაცია) მომზადებისა და წარდგენის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე
- ეფექტური წერილობითი და ელექტრონული კორესპონდენციის წარმოებისა და ამ პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენების უნარი

**სწავლის უნარი**

კურსდამთავრებულს ექნება:

- უნარი გამოკვეთოს საკუთარი პროფესიული ინტერესი/საჭიროება და დამოუკიდებლად აირჩიოს რა მიმართულებით განაგრძოს სწავლა სწავლების შემდგომ საფეხურზე ან გაიღრმავოს ცოდნა სხვადასხვა სასერთიფიკატო კურსებისა და სატრენინგო პროგრამების საშუალებით;

**ღირებულებები**

კურსდამთავრებულს ექნება:

- გაცნობიერებული საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა

პროგრამის სწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ პროგრამის მიზნებთან შესაბამისობაშია. სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფიზიკური და ადამიანისეული რესურსები. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის მისანიჭებელ კვალიფიკაციას და საბაკალავრო საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგები, ისევე როგორც თავად პროგრამის სტრუქტურაა და მიზანი გამომდინარეობს შრომის ბაზრის კვლევის ანალიზიდან.

პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, ტურიზმის ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს, როგორც სახელმწიფო/საჯარო სტრუქტურებში (მუზეუმი, დაცული ტერიტორიები, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო, კურორტი და ა.შ.), ისე კერძო სექტორში (ტურისტული სააგენტო, სასტუმრო და ა.შ.) და დაიკავოს ქვედა ან საშუალო რგოლის ხელმძღვანელის, სპეციალისტის/მთავარი სპეციალისტის ან მენეჯერის

| |
|---|
| თანამდებობა. ტურიზმის ბაკალავრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სწავლების მეორე საფეხურზე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად.<br>პროგრამის შემუშავების პროცესში, (მათ შორის პროგრამის ისეთი კომპონენტის, როგორიცაა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება) ინტენსიურად იყვნენ ჩართულნი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ხოლო დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში საჭიროებს მეტ გაძლიერებას.<br>გასაუბრებიდან ირკვევა, რომ სწავლის შეფასება ხდება სასწავლო კურსებში მოცემული შეფასების ფორმების მიხედვით და შეფასების ძირითადი კრიტერიუმები მოცემულია პროგრამის სწავლის კურსების სილაბუსებში. სწავლის შედეგების გასაზომად გამოიყენება ისეთი პირდაპირი მექანიზმები, როგორიცაა პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმებას, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვა. მიღებული შედეგების საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების დახვეწა/მოდიფიცირება. ხოლო არაპირდაპირი შეფასება მოიცავს - სტუდენტის და დაინტერესებული პირების დამოკიდებულებას სასწავლო პროცესების და პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. პროგრამის შეფასების არაპირდაპირი მეთოდი სტუდენტებს და დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს პროგრამის ეფექტურობა თავიანთი გამოცდილებიდან და პერსპექტივიდან გამომდინარე. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები თუმცა საჭიროებს დახვეწას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;<br>○ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;<br>○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;<br>○ შრომის ბაზრის ანალიზი;<br>○ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის ოქმები;<br>○ გამოკითხვის შედეგები;<br>○ კურიკულუმის რუკა<br>○ კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>• სასურველია სამიზნე ნიშნულების დახვეწა და უფრო კომპლექსური ფორმის მინიჭება |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |

| ○ |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს  პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა მნიშნელოვანი ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში. პროგრამაზე მიღების ზემოაღნიშნული პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, პროგრამაში ვკითხულობთ: ,,აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე". ბრძანება, რომელიც პროგრამაშია ნაგულისხმევი უნდა იყოს: 2011 წლის #19/ნ (ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესისა და დამტკიცების შესახებ)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- საბაკალავრო სწავლების დებულება https://www.ug.edu.ge/storage/documentations/May2018/pea20JHPo9PX7i30Z7pB.pdf
-

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამაში მიეთითოს 2011 წლის 18 თებერვალის #19/ნ ბრძანება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესისა და დამტკიცების შესახებ.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

**პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში არსებული საბაკალავრო და სამაგისტრო დებულებების საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. აქედან ძირითადი სასწავლო კურსები 180 ECTS; პროგრამის სავალდებულო ასარჩევი ბლოკიდან (18 ECTS) 6 ECTS გავლას, არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან (138 ECTS) 54 ECTS გავლას. პროგრამის შინაარს, მოცულობა და სტრუქტურა შეესაბამება სწავლების საფეხურს, კერძოდ პროგრამის ძირითადი საგნებია: ტურიზმის საფუძვლები, საქართველოს გეოგრაფია, შესავალი საქართველოს ისტორიაში, ტურისტულ რეკრეაციული რესურსები, კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი, სასტუმროს მენეჯმენტი, ეკო-აგრო ტურიზმი და გარემოს დაცვა, გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ტურიზმის ეკონომიკა, ტურის დაგეგმვა და საქართველოს ტურისტული მარშრუტები, კვებისა და სასმელების მენეჯმენტი, ექსკურსია მცოდნეობა და გიდის ხელოვნება, ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი გარემო, ტურ-ოპერეიტინგი, პრაქტიკა სასტუმროში და პრაქტიკა ტურისტულ კომპანიაში. ამას გარდა, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ისწავლება ბიზნესის ადმინისტრირების ისეთი საგნები, როგორიცა ბიზნესი და ეკონომიკა, მენეჯმენტის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა 1, მარკეტინგის საფუძვლები, მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობენ არჩევით საგნებს. პროგრამის ანალიზის გვიჩვენებს, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში არჩევითი საგნების ბლოკში ვხდებით საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი აირჩევს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას მას მოუწევს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დებულების მიხედვით, რაც მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების შემდეგ კომპონენტებს: პრობლემის იდენტიფიკაცია, ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა, ჰიპოთეზის ფორმირება და კვლევის მეთოდების შემუშავება. ყოველივე ეს მოითხოვს კვლევის მეთოდების სწავლებას. გასაუბრებისას ირკვევა, რომ ამისათვის პროგრამის ფარგლებში ისწავლება სასწავლო კურსი ,,კვლევის რაოდენობრივი მეთოდების საფუძვლები“. თუმცა, მოცემული სასწავლო კურსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შინაარსი მოიცავს მხოლოდ მათემატიკური აპარატის სწავლებას. კერძოდ სასწავლო კურსის ფარგლებში ისწავლება შემდეგი საკითხები:

1. სიმრავლეები, მოქმედებები სიმრავლეებზე. ვენის დიაგრამები, სასრული და უსასრულო სიმრავლეები.
2. თვლის სისტემები. მიახლოებითი და მთელი რიცხვები. ნატურალური, მთელი და ნამდვილი რიცხვები. რიცხვითი ღერძი და უარყოფითი რიცხვები. რიცხვითი

შუალედი.
3. გრაფიკები. კოორდინატთა მართკუთხა სისტემა. განტოლების შესაბამისი გრაფიკი. გრაფიკის გადაკვეთა საკოორდინატო ღერძებთან.
4. ფუნქცია, ფუნქციის გრაფიკი, გრაფიკის ანალიზი;
5. წრფივი განტოლება და წრფივი ფუნქცია.
6. წრფივი მოდელები და მათი გამოყენება პრაქტიკულ ამოცანაში
7. პროპორციული დაყოფა და პროცენტები. რიცხვის დაყოფა ნაწილებად. პროცენტის გამოყენება პრაქტიკულ ამოცანებში.
8. ფინანსური მათემატიკის საფუძვლები. სარგებლის მარტივი და რთული განაკვეთი; ტატისტიკის საფუძვლები. მონაცემების გრაფიკული წარმოდგენა. სტატისტიკის ძირითადი ცნებები. სიხშირული განაწილება.
9. მონაცემების გრაფიკული წარმოდგენა. მონაცემთა ცენტრისა და განლაგების საზომები (საშუალო, მედიანა, მოდა). მონაცემთა განაწილების სიმეტრია;
10. მონაცემთა გაფანტულობის საზომები. დიაპაზონი. სტანდარტული გადახრა. ვარიაციის კოეფიციენტი.
11. კომბინატორიკისე ლემენტები. ფაქტორიალი, გადანაცვლება, წყობა, ჯუფთება.
12. ალბათობის საფუძვლები.

ვიზიტის ფარგლებში ასევე გამოვლინდა, რომ საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელი ძირითადად ერთი აკადემიური პერსონალია.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ კომპონენტებში საჭიროებს დამსაქმებელთა ჩართულობის გაძლიერებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამის დებულება https://www.ug.edu.ge/ge/sauniversiteto-debuleba
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- **რეკომენდირებულია პროგრამის ძირითად ბლოკში ისწავლებოდეს კვლევის მეთოდები, რაც სტუდენტს გაუადვილებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას.**
- **რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის დებულებაში განისაზღვრის სტუდენტების რაოდენობის ზღვარი, რომელსაც უხელმძღვანელებს აკადემიური პერსონალი საბაკალვრო ნაშრომების მომზადებისას.**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**

| |
|---|
| **შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სილაბუსში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა (ძირითადი და დამატებითი) შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა<br>○ სილაბუსები;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| ○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის გაუმჯობესება მიზნად ისახავდა პრაქტიკულ უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების შეთავაზებას ცალკეულ კურსებში პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების შესრულებით, ასევე უშულოდ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სავალდებულო-არჩევითი დამოუკიდებელი ბლოკის ფარგლებში, რომელიც შეთავაზებულია თითოეული მიმართულებისთვის. კერძოდ,<br><br>უნივერსიტეტი თანამშრომლობს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან, თბილისის მუზეუმების გაერთიანებასთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, ტურისტულ კომპენიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივ საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებსა თუ კვლევებში სტუდენტთა ჩართულობას. პროგრამაში სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარების კუთხით გათვალისწინებულია სავალდებულო პრაქტიკა ტურისტულ სააგენტოსა და სასტუმროში, ასევე პროგრამის სავალდებულო ასარჩევი/არჩევითი პრაქტიკა - მუზეუმი, ან დაცული ტერიტორია ან კურორტი.<br><br>ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის სამეცნიერო უნარების განვითარების მიზნით ჩატარდა ორი საუნივერსიტეტო კონფერენცია 2015 და 2018 წლებში, რომელშიც მონაწილეობდა 20-მდე სტუდენტი, ასევე 2018 წელს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - https://www.ug.edu.ge/ge
- ○ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლების მეთოდების აღწერილობითი ნაწილი შეესაბამება რეალობაში განხორციელებულ მეთოდებს, არის არსებული საფეხურების მიმართ რელევანტური და სრულად უზრუნველყოფს შედეგების მიღებას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის:

- ლექცია-სემინარი
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ინტერაქტიული ლექციები
- გუნდური მუშაობა
- შემთხვევის შესწავლა და ანალიზი
- სიმულაცია
- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი

- დისკუსიები
- პრეზენტაციების წარდგენა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- კრიტიკული ანალიზი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- ლიტერატურის მიმოხილვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სხვადასხვა კურსის სილაბუსი;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და შიდა შეფასების ფორმები;
- შეხვედრების ანგარიში საბაკალავრო პროგრამის ლექტორებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- 

**შეფასება**

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

| |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება პროგრამასა და სილაბუსში წინასწარ, ნათლად და გამჭვირვალედ გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა შეფასების კრიტერიუმები ზოგ შემთხვევაში სტუდენტისთვის აღსაქმელად სირთულეს წარმოადგენს. მოქმედებს 100 ქულიანი შეფასების სისტემა, სილაბუსში მკაფიოდაა გაწერილი შუალედური და ფინალური გამოცდების შესაბამისი ქულების დაგროვების წინაპირობები. შეფასების სისტემა მრავალ ეტაპიანი და იგი შუალედური და ფინალური გამოცდის გარდა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, როგორიცაა: რეფერატი, პრეზენტაცია ,პროექტი, სტატიის ანალიზი და ა.შ. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც ასევე ასახულია კონკრეტულ სილაბუსებში. სტუდენტებისთვის სილაბუსები ხელმისაწვდომია ელექტრონული პორტალის ,,Online UG"-ს საშუალებით. თითოეულ კომპონენტში მიღწეულ შედეგს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი აფიქსირებს ელექტრონულ ჟურნალში, სადაც კონკრეტულ გამოცდაში მიღებულ ქულას თან ახლავს ლექტორის კომენტარი. ინტერვიუებით დადგინდა, რომ სტუდენტები დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტების განცხადებაზე რეაგირება ხდება სწრაფად.<br><br>თუმცა, სასწავლო კურსების თითქმის ყველა სილაბუსში შუალედური შეფასების კომპონენტებია ქვიზი, პროექტის პრეზენტაცია, შუალედური და დასკვნითი გამოცდა. პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას გამოვლინდა, რომ ქვიზის ფარგლებში ლექტორები სთავაზობენ, ცალკეული საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით, კონკრეტულ სიტუაციებს, ამოცანებს და ა.შ. თუმცა მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს მოცემული კომპონენტის (ქვიზი) მეტად დაკონკრეტება, რაც მეტად გამჭირვალე იქნება სტუდენტებისათვის.<br>ამას გარდა, პრეზენტაციის, ფინალური გამოცდისა და დასკვნითი გამოცდის შეფასება ხდება 100 ქულით, რომელიც შემდეგნაირად არის რანჟირებული. მაგალითად,<br>პროექტის მიზნები, ამოცანები, მათი რელევანტურობა კურსის შინაარსთან და საკითხის აქტუალობა ფასდება ქვემოთ მოცემული შეფასებით:<br>• 100% - პროექტის მიზნები და ამოცანები სრულად რელევანტურია კურსის შინაარსთან და პროექტი ეხება აქტუალურ საკითხებს<br>• 75% - პროექტის მიზნები და ამოცანები სრულად რელევანტურია კურსის შინაარსთან და პროექტი ეხება ნეტნაკლებად აქტუალურ საკითხებს<br>• 50% - პროექტის მიზნები და ამოცანები მეტ-ნაკლებად რელევანტურია კურსის შინაარსთან და პროექტი ეხება მეტნაკლებად აქტუალურ საკითხებს;<br>• 25% - პროექტის მიზნები და ამოცანები მეტ-ნაკლებად რელევანტურია კურსის შინაარსთან და პროექტი არ ეხება აქტუალურ საკითხებს<br>• 0% - პროექტის მიზნები და ამოცანები არ არის რელევანტური კურსის შინაარსთან და პროექტი არ ეხება აქტუალურ საკითხებს<br>ასეთი ტიპის შეფასების სისტემა ნაკლებად მოქნილია ობიექტური შეფასებისათვის და მოითხოვს 100 ქულიანი შეფასების სისტემის მეტად რანჟირებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ტურიზმის სკოლის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სილაბუსები;<br>○ საბაკალავრო სწავლის დებულება; |

| |
|---|
| ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან,აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ მართვის ელექტრონული სისტემა http://my.ug.edu.ge/login.php; http://online.ug.edu.ge/login.php |
| **რეკომენდაციები:**<br>• **სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში ქულების გადანაწილების სტრუქტურის დახვეწა.** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• სასურველია შეფასების კომპონენტის დაკონკრეტება ქვიზის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მეტ გამჭირვალობას სტუდენტებისათვის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების | | √ | | |

| ადეკვატურობა | | | | |
|---|---|---|---|---|

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას, საუნივერსიტეტო სივრცეში ადაპტაციისა და ინტეგრირების მიზნით, რომლის განხორციელებაშიც ჩართულნი არიან როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომლები, ასევე შესაბამისი პროგრამის/მიმართულების დეპარტამენტის უფროსები და პროგრამის ხელმძღვანელები.<br>სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტი აუცილებელ ინფორმაციას იღებს სისტემა „ჩემი UG“-ის საშუალებით. გარდა ამისა, სასწავლო პროგრამა, სილაბუსებითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტებით განთავსებულია ვებ გვერდზე. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობისთვის გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები. ინდივიდუალური მუშაობის ფორმატი მოიცავს, ერთი მხრივ, სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო თემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციისა და მითითებების მიცემას, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტისთვის პრობლემური საკითხების დამატებით ახსნას. გარდა ამისა, ინდივიდუალური მუშაობით უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია მიმართოს სკოლის დირექტორს.<br><br>სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, თუმცა მათი ჩართულობა კონფერენციებსა და გაცვლით პროექტებში საგრძნობლად დაბალია.<br><br>სტუდენტს საშუალება აქვს გაწევრიანდეს ან თავად ჩამოაყალიბოს სტუდენტური კლუბები და მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში, რომელთა შესახებ ინფორმაციას იღებს ,,ჩემი UG“ სისტემაში მესიჯების სახით ან უნივერსიტეტის ვებ გვერდიდან.<br><br>მოცემული სერვისებით სტუდენტების კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ადმინისტრაციული მხარდაჭერის შეფასების და აკადემიური მხარდაჭერის შეფასების ანგარიშიდან, რომელიც საჭიროებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების დახვეწას. ადგილზე ვერ მოხერხდა კმაყოფილების კვლევის სტატისტიკური მონაცემების გადახედვა.<br><br>საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლაზე სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახური ზრუნავს. კარიერული |

| |
|---|
| სერვისების თვალსაზრისით სტუდენტებისა და კურსდამთვრებულებისათვის ხელმისაწვდომია სისტემატიური ტრენინგები, დასაქმების ფორუმები, ინდივიდუალური კონსულტაციები, ექსკლუზიური სიახლეები მიმდინარე ვაკანსიების შესახებ და სხვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ტურიზმის საბაკალვრო პროგრამა;<br>○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>○ სტუდენტური სისტემა „ჩემი UG";<br>○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი;<br>○ შესაბამისი სამსახურების სამუშაოს საღწერები;<br>○ სტუდენტურ საქმეთა ცენტრის საქმიანობის წესი;<br>○ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება. |
| რეკომენდაციები:<br><br>• **რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა, გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში ჩართვისა და კონფერენციების ორგანიზების მიმართულებით.** |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| ○ არ შეფასდა |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, | | √ | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| <ul><li>**პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;**</li><li>**პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;**</li><li>**პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;**</li><li>**პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.**</li></ul> |
| პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 28 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 8 პროფესორი, 19 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში. აქედან 24 აფილირებული აკადემიური პერსონალია. აკადემიურ პროცესში ჩართულია 52 მოწვეული პროფესორი, რომელთა მათგანს გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება.<br><br>პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე პირის მიმართ ძირითადი მოთხოვნები განისაზღვრება სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 27 მარტის, ოქმი #08-12 მიხედვით. ამ დებულების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური ან მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათი CV-ები, ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული სამეცნიერო სტატიები, მონაწილეობა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებში.<br><br>პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ამასთანავე პროგრამის განხორციელებაში და ადმინისტრაციულ მხარდაჭერაში ჩართულია ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის |

| |
|---|
| პერსონალი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია.<br><br>პროგრამაში ჩართული სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან შესაბამისი კომპეტენციის და რაოდენობის ადმინისტრაციული პერსონალით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამუშაო პროცესის აღწერილობა<br>○ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>○ პერსონალის კვალიფიკაცია<br>○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები<br>○ პერსონალის გამოკითხვის შედეგები<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |

| |
|---|
| უნივერსიტეტში არსებული პერსონალის მართვის სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად, თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის ყველა ტიპის პერსონალისათვის.<br>უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება პროგრამაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების კვლევები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით.<br><br>საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ამ მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახურს და სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) რედაქციას.<br><br>საქართველოს უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ პროექტში Sustainable learner-centred Teaching - Advanced Recourse for Georgia and China (STAR), რომლის მიზანიცაა პროფესორ-მასწავლებლებისთვის ინოვაციური სასწავლო მიღწევების გაცნობა პედაგოგიკაში.<br><br>აკადემიური პერსონალის განვითარებისა და წახალისების მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავა პრემიის გაცემის ინსტრუქცია. იმ შემთხვევაში თუ აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის სახელით გამოაქვეყნებს რეფერირებად ჟურნალში, მიიღებს ფულად ჯილდოს ინსტრუქციის მიხედვით.<br><br>ასევე შემუშავებული მექანიზმი, რომლის სახელწოდებაა "სამეცნიერო ოთხშაბათები". რომლის ფარგლებში ხორციელდება აკადემიური პერსონალისათვის და დოქტორანტებისათვის კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამუშაო პროცესის აღწერილობა<br>○ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>○ პერსონალის კვალიფიკაცია<br>○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები<br>○ პერსონალის გამოკითხვის შედეგები<br>○ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება<br>○ სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის წესი<br>○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია<br>○ სამეცნიერო ინსტიტუტის დებულება<br>○ https://star.ped.muni.cz/ |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ |
| **შეფასება**<br>**■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 4.3 მატერიალური რესურსი |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| დაწესებულების ინფრასტრუქტურა თანამედროვეა. მასში შექმნილია პროგრამის შედეგების მიღწევისათვის შესაბამისი გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით და სასწავლო პროცესისათვის სხვა საჭირო ტექნიკით. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა წიგნს და წიგნების ელექტრონულ ანალოგებს. ბიბლიოთეკა ღიაა როგორც სტუდენტებისათვის, ასევე ნებისმიერი მსურველთათვის. ნებისმიერ მსურველს აქვს წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან. უნივერსიტეტში გამოყოფილია სივრცე სტუდენტების ჯგუფური მუშაობისთვის. პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია დანახარჯები საბიბლიოთეკო ფონდის განახლებაზე. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>საქართველოს უნივერსიტეტს აქვს სასტუმროს ავტომატიზებული მართვის ელექტრონული სისტემა, Opera PMS, რომელიც განთავსებულია სპეციალურად შეძენილ სერვერზე. ასევე უნივერსიტეტს აქვს წვდომა ელექტრონული ტურისტული სამენოვან (ქართული, ინგლისური, რუსული) გზამკვლევზე, რომელიც მოიცავს web აპლიკაციას www.travelgis.ge და android/iOS მობილურ აპლიკაციას Travelgis, რომელზეც განთავსებულია მთელი საქართველოს ტურისტული მარშრუტი.<br>უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს Startup factory, რომელიც უზრუნველყოფს დამწყები ბიზნესების კონსულტირებას, სტუდენტების ჩართვას, სალექციო კურსების შესაბამისად |

| |
|---|
| სპიკერების მოწვევას და ტრენინგ-Workshop-ების ორგანიზებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საკუთარი შენობა-ნაგებობა (საჯარო რეესტრიდან ამონაწერი (შიდა აზომვითი ნახაზით);<br>○ საბიბლიოთეკო ბაზები და ქსელები;<br>○ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.<br>○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა<br>○ გამოკითხვის შედეგები<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| **პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.** |
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |

| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი |
| --- |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<table>
<tr><td>

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

</td></tr>
<tr><td>

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

</td></tr>
<tr><td>

საქართველოს უნივერსიტეტის ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს გასაუმჯობესებლად.

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს თვითშეფასებას, პროგრამასა და სილაბუსებს უმაღლესი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საქართველოს უნივერსიტეტის დებულებებთან შესაბამისობას. პროგრამის შედეგების კვლევას და ანალიზს ახორციელებს პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის მუდმივი წევრები არიან: პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს.

თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში ჩართული იყო ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაცია, ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რეკომენდებულია დამსაქმებლების ჩართულობის უფრო მეტად გაძლიერება პროგრამის მუდმივი განვითარების პროცესში.

შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". უსდ-ში არსებობს გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.

</td></tr>
<tr><td>

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ტურიზმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- გამოკითხვის შედეგები;
- ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია

</td></tr>
</table>

- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია
- ტურიზმის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- www.ug.edu.ge

**რეკომენდაციები:**

- **პროგრამის მუდმივი განვითარების პროცესში. რეკომენდირებულია დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება.**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

**პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. ხდება აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების განხილვა და შესრულება. შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს და უზრუნველყოფს ხარისხის განვითარების პროცესს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

| |
|---|
| ○ ტურიზმის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- [www.ug.edu.ge.](http://www.ug.edu.ge) |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ |
| **შეფასება**<br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| ### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| **პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.** |

| |
|---|
| საქართველოს უნივერსიტეტში პროგრამის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევა ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ, ხოლო დამსაქმებლების - 3 წელიწადში ერთხელ. სასურველია გააქტიურდეს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასების განხორციელება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით და მის საფუძველზე მოხდეს შეფასების შედეგების უფრო სიღრმისეული გაანალიზება. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება, მოდიფიცირება და გაუმჯობესება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>○ სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;<br>○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ გამოკითხვის შედეგები;<br>○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;<br>○ ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- www.ug.edu.ge |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია გააქტიურდეს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით და მის საფუძველზე მოხდეს შეფასების შედეგების უფრო სიღრმისეული გაანალიზება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ |

| შეფასება |
|---|
| ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტურიზმი, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | √ | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>



სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით სიხარულიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>



სახელი, გვარი, ხელმოწერა რუსუდან სეთურიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა ნატალია კვაჭანტირაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა  ანა მოსემღვრდლიშვილი

